ხელშეკრულება № 37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **28 დეკემბერი 2020 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ააიპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება (შემდეგში ,,შემსყიდველი“) მისი დირექტორის ნუნუ ჭელიძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი“ (შემდეგში ,,მიმწოდებელი“) სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება –საოფისე სკამები
(იხ.დანართი N1)
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია **–კოდი-39100000**-საოფისე ავეჯი .
კლასიფიკარორის (CPV) **კოდი -39112000**-სკამები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2475 (ორი ათას ოთხასსამოცდათხუთმეტი) ლარი**, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ააიპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ააიპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ააიპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი	შპს „ ორგსერვისი“
ნუნუ ჭელიძე	ხვიჩა ნემსაძე
მის: ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.№6 სახაზინო კოდი 7 42 75 ს/კ № 215145297	მის: ქ. ფოთი აღმაშენებელის გამზირი N 37 სს ,“ თიბისი ბანკი” ა/ა GE32TB0300000030467356 ბ/კ TBCBGE22 ს/კ 212693851

დანართი №1

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა და განზომილება	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	საოფისე სკამები	45 ცალი	55.00	2475.00	ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება
			სულ ჯამი	**2475.00 ლარი**	